პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 157 (9318)
13 აგვისტო, ოთხშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი

## დაწინაურდნენ მასპინძლები

ქუთაისი, 12 აგვისტო (ტელეფ-ონით, „ლელოს" საკუთარი კორე-სპონდენტი). სსრ კავშირის მოჭად-რაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარ-ფინალური ტურნირის V ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა და ორივე შეხვედრაში ქართველ-მა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს. ქუ-თაისელმა ჰენრიეტა ლაგვილავამ აჯობა ერთ-ერთ ლიდერს, კიეველ ელენა სედინას, ხოლო თბილისელ-მა ქეთევან არახამიამ შავი ფიგუ-რებით დაამარცხა მოსკოველი დი-დოსტატი ელენა ფათალიბეკოვა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ყა-იმის მისაღწევად უნდა იბრძოლონ ქეთევან მელაშვილმა (თბილისი) და მზია წერეთელმა (მახარაძე) ფლო-რა უსკოვასთან (ალმა-ათა) და ირი-ნა კულიშთან (კრასნოიარსკი) შე-ხვედრებში.

5 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენ-ლები არახამია და ლაგვილავა. მათ 3,5-3,5 ქულა აქვთ. 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ნატალია ალიოხინას (მოსკოვის ოლქი). წერეთელი 2,5 ქულით და ერთი გადადებული პარტიით V-VI ადგილებს იყოფს ვლადივოსტოკელ დიანა ეშჩენკოსთან. მელაშვილი XI ადგილზეა — 1 (1).

**თამაზ ხარაბაძე.**

---

ახალგაზრდა კომუნისტი

## 65 წლის წინათ, 1921 წლის 13 აგვისტოს გამოვიდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პირველი ნომერი

65 წელი გასულა! „ახალგაზრდა კომუნისტის" პირველი მკითხველები დღეს უკვე ჭარმაგი, ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანები არიან. იმ თაობის ახალგაზრდებმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება-განმტკიცების წლების სიძნელენი, დიდი სამამულო ომი, ომის შემდგომი ალმშენებლობითი პერიოდის სირთულეები.

„ახალგაზრდა კომუნისტი" — თაობათა სულიერი დამპურებელი, ამჩეველი, აღმზრდელი, მეგობარი, წინამძღოლი, ახალგაზრდა თაობის გმირული საქმეების მემატიანე! ახკომი და ახკომელები პირველები იდგნენ საქართველოში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის სათავეებთან, ისინი წარმართავდნენ ამ მოძრაობას და, როცა კომკავშირის თაოსნობით მშდ ფიზკულტურულმა კომპლექსმა აიდგა ფეხი, საქართველოს კომკავშირელები თავად უჩვენებდნენ ახალგაზრდობას შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადების მაგალითს.

კომკავშირი და სპორტი განუყოფელია. განუყოფელია „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „ლელოს" საზრუნავიც. საქმეს ძმურად შეჭიდებულთა მონდომებასა და ერთსულოვნებას კი წინ რა დაუდგება.

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მარად ჭაბუკ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს" და მის შემოქმედებით კოლექტივს.

---

## ნონა გაფრინდაშვილი პოლონეთში

**პოლონეთის** ქალაქ პოლიანიცა-ზდრუეში დაიწყო გამოჩენილი პო-ლონელი დიდოსტატის აკიბა რუ-ბინშტეინის ტრადიციული მემორი-ალი — ვაჟთა საერთაშორისო ტუ-რნირი.

შეჯიბრებაში 13 მოჭადრაკე მო-ნაწილეობს, მათ შორის არის მსო-ფლიოს ექსჩემპიონი, საბჭოთა კავ-შირის ჩემპიონი დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

3 ტურის შემდეგ 2 ქულით ნონა ლიდერთა შორისაა, მან ორი პა-რტია მოიგო (ერთში ჩეხოსლოვა-კიელი დიდოსტატი მოკრი დაამარ-ცხა) და ერთი წააგო.

რუბინშტეინის მემორიალი 22 აგვისტომდე გასტანს.

### ევროპის ახალი რეკორდი

**ბუდაპეშტში** გამართულ საერ-თაშორისო შეჯიბრებაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა ბულგა-რელმა ხრისტო მარკოვმა. მან სა-მხტომში 17,80 მ აჩვენა და ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა საბჭო-თა სპორტსმენის ნიკოლაი მუსიენ-კოს ძველი მიღწევა.

---

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## შეურიგებელი ბრძოლას განაგრძობენ

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი დავით კაკაბაძე მოს-კოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**ჩოგბურთელთა** სასპარტაკიადო პირადი ტურნირი გადამწყვეტ ფა-ზაში შედის. წყვილებმა უკვე მე-რვედფინალური შეხვედრები ჩაა-ტარეს.

მესხსა და მალაციძეს ამ ეტა-პზე ბრძოლა რსფსრ-ის გუნდის წევრებთან კირეევასა და შაპოშ-ნიკოვასთან მოუხდათ. ქართველი ჩოგბურთელების უპირატესობა ამ-ჯერად უდავო იყო, რაც, სხვათა შორის, ანგარიშიდანაც ჩანს — 6:1, 6:1. ჩვენი წყვილი ახლა უკ-ვე მეოთხედფინალში იასპარეზებს.

გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა ქართველთა მეორე წყვილს — გერაძესა და ბოკუჩავას. უკ-რაინელებთან — სავჩენკოსა და ბრიუხოვეცთან წარმატებით თამა-ში არ არის იოლი საქმე. მით უმე-ტეს, რომ ისინი თავადაც საპრი-ზო ადგილებზე გასვლას ცდილო-ბენ.

თბილისელებმა ძლიერ მეტოქეს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწი-ეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამა-რცხდნენ — 4:6, 4:6.

მეოთხედფინალში ითამაშებს ჩვე-ნი ვაჟთა წყვილიც, თუმცა გაბ-რიჩიძესა და კაჭარავას ამჯერად ესტონელებმა რაიტცეპმა და პე-ტერსონმა ღირსეული წინააღმდე-გობა გაუწიეს. პირველ სეტში ბრძოლა ფაქტიურად არ შემდგა-რა: ჩვენმა წყვილმა ადვილი გამა-რჯვება მოიპოვა — 6:1. მეორე პარტიის დასაწყისშიც ყველაფერი „გეგმის" მიხედვით მიდიოდა და ბრძოლის ბედი თითქოს გადაწყვე-ტილი იყო — 5:1. მაგრამ სწო-რედ მაშინ, როცა სასურველ ფი-ნიშთან ახლოს იყვნენ, ჩვენი ჩო-გბურთელები მოეშვნენ და ზერე-ლედ დაიწყეს თამაში. ასეთ დაუ-დევრობას გამოცდილი მეტოქე არ გაპატიებს. ესტონელებმა თით-ქმის შეუმჩნევლად იგდეს ხელთ ინიციატივა, ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგეს და სეტიც თავიანთ სასარ-გებლოდ დაამთავრეს — 7:5.

მესამე პარტიაში ყველაფერი თავიდან დაიწყო, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ჩოგბურთელებს ყუ-რადღება წამითაც არ მოუდუნე-ბიათ. გაბრიჩიძემ და კაჭარავამ გა-იმარჯვეს — 6:4.

ერთი საინტერესო რამ. შეჯიბ-რების ამ ეტაპზე საქართველოს ჩოგბურთელთა მთავარი კონკურე-ნტები ესტონეთისა და ლატვი-ის სპორტსმენები არიან, ვინაიდან გუნდურ ჩათვლაში ისინიც მესა-მე საპრიზო ადგილისთვის იბ-რძვიან. ამიტომ ურთიერთშეხვედ-რაში მოპოვებულ ყოველ გამარ-ჯვებას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი გაბრიჩიძისა და კაჭარავას ამ ორთაბრძოლის შე-დეგი.

ვაჟთა მეორე წყვილი: ხურდა — კვარაცხელია ამჯერად დოლგო-პოლოვ—პოლიაკოვთან (უკრაინა) შეხვედრაში დამარცხდა — 5:7, 2:6 და ბრძოლას გამოეთიშა.

### ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** გაიმართა მერვედფინალური შეხვედრები ერთეულთა თანრიგში. წარმატება იზეიმეს ჩვენი გუნდის ლიდერებმა ლეილა მესხმა და ვლადიმერ გაბრიჩიძემ. მესხმა სძლია ივანოვას (ლენინგრადი) — 6:0, 6:1, ხოლო გაბრიჩიძემ — კრესლინშს (ლატვია) — 6:3, 6:3.

მერვედფინალში ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს — ირაკლი მეტრეველსა და ირინე მალაციძეს. უკ-რაინელთა ლიდერი დოლგოპოლოვიცა და მოსკოველი ბიკოვაც ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში V ადგილზე არიან. როგორც მოსალოდნელი იყო, მათთან შეხვედრაში ჩვენი ჩოგბურთელები დამარ-ცხდნენ. მეტრეველი — 2:6, 2:6, მალაციძე — 4:6, 2:6.

ახლა მეტრეველი და მალაციძე IX-XVI ადგილებისთვის იბრძოლებენ, მესხი და გაბრიჩიძე კი მეოთხედფინალში შესაბამისად აიდა ხალათიანსა (სომხეთი) და გირტს ძელდეს შეხვდებიან.

საინტერესოა, რომ გუნდურ შეჯიბრებაში გაბრიჩიძე და ძელდე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ გაბრიჩიძე ჩვენი ქვეყნის მეშვიდე ჩოგან-თან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა.

---

გვიმრავლოს!

## ახალი, დიდებული...

ზუგდიდში საზეიმოდ გაიხსნა თანამედროვე საცხენოსნო-სპორტული კომპლექსი



**რა** უნდა იყოს იმაზე საამაყო და სასიხარულო, როცა რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ ჩახვალ ნა-ცნობ ქალაქში, რაიონულ ცენტ-რში თუ სოფელში და... იქაუ-რობას თითქმის ველარ იცნობ. ადამიანების მზრუნველ ხელს ადამიანებისვე საკეთილდღეოდ შე-უცვლია იერსახე გარემოსთვის. აუშენებია ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურის კერები, სპო-რტული ნაგებობები, პარკები...

ახლა ამა თუ იმ რეგიონის სო-ციალური განვითარების პროგ-რამა კომპლექსურად ხორციელ-დება და ამიტომაც არის ყველგან ასე შესამჩნევი და შთამბეჭდავი ჩვენი სოფელ-ქალაქების ფერის-ცვალება. ამიტომაც მოგვიმრავლ-და რეგიონებში თანამედროვე სპო-რტული კომპლექსები სულიერი აღზრდის კერების გვერდით. ვინ იფიქრებდა, რომ, მაგალითად, ხობში უნიკალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი აშენდებო-და, ტყვიის მსროლელებს და ცხე-ნოსნებს მხოლოდ ოცნება თუ შე-ეძლოთ ისეთ შესანიშნავ სპორ-ტულ კერებზე, როგორიც ბოლო ხანებში აიგო ზუგდიდში. საცხე-ნოსნო-სპორტული კომპლექსი კი 9 აგვისტოს ფიზკულტურელის სა-კავშირო დღეს გაიხსნა რუხის ტე-რიტორიაზე.

იხ. მე-3 გვ.

### ავნებს ხორცსა, მერე სულსა

# ბრძოლის იარაღი—სპორტი

**ახალგაზრდებმა** უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი ნარკოტიკულ ნივთიერებებს მიმართავენ, იძულებული გახდებიან სპორტი მიატოვონ. ამაში თვითონ ცხოვრება გვარწმუნებს. რამდენი პაციენტი მყოლია ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებით დაუძლურებული, მათგან რამდენი გამხდარა იძულებული ჩამოშორებოდა დიდი სპორტისკენ მიმავალ გზას.

ტოქსიკური (მომწამვლელი) ნივთიერება მალე კარგავს სიამოვნების მომგვრელ თვისებას და ნარკომანისათვის მხოლოდ საარსებო წყაროდ იქცევა. ნარკოტიკს მოკლებული ნარკომანი მორალურ, ფსიქიკურ და ფიზიკურ დაკნინებას განიცდის, უვითარდება საერთო სისუსტე, აწუხებს თავის ტკივილი, ერღვევა მოძრაობის კოორდინაცია, უსუსტდება მეხსიერება, ნებისყოფა, უვითარდება სიჩლუნგე, თანდათან ეკარგება ინტერესი სწავლისადმი, შემოქმედებისადმი, შრომისადმი, უქრება ოჯახის შექმნის სურვილი. სპორტი მისთვის მიუწვდომელი ხდება. ნარკომანები უმცირეს ფიზიკურ დატვირთვასაც კი ვერ უძლებენ, ფიზიკურად უსუსურნი არიან. მათ მხოლოდ ერთი მისწრაფება ამოძრავებთ — რადაც უნდა ღაუჯდეთ, იშოვონ ნარკოტიკული ნივთიერება, დაუყოვნებლივ დაიკმაყოფილონ მისდამი შიმშილის გრძნობა.

საკითხავია მოსახლეობის რომელი ფენები წარმოშობენ ნარკომანებს. გადავავლოთ თვალი ჩვენი ქალაქის მოსახლეობას და დავრწმუნდებით, რომ ნარკომანთა უმეტესი პროცენტი მოდის მატერიალურად უზრუნველყოფილ მოსახლეობაზე — იმ ოჯახებზე, რომლებიც თავიანთ შვილებს ფუფუნების პირობებს უქმნიან. ამ საშინელი სენის გავრცელების მიზეზი სუსტი აღმზრდელობითი მუშაობა გახლავთ.

ნარკომანიასთან ბრძოლაში, ჩემი აზრით, დიდად დაგვეხმარება სპორტი — ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლა.

დაავადებულის მკურნალობა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია: ჩვენ უნდა დავუბრუნოთ მას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა — აღვადგინოთ პიროვნება.

ნარკომანის მკურნალობა სულ მცირე ორ თვეს მაინც მოითხოვს. მკურნალობის პირველ ეტაპზე ორგანიზმი უნდა გათავისუფლდეს შხამისაგან, აღდგეს სომატური ჯანმრთელობა. მკურნალობის მეორე ეტაპზე საჭიროა ზემოქმედება ნარკომანიით დაავადებულ პიროვნებაზე — ტარდება ფსიქოთერაპიული საუბრები, ჰიპნოზური ზეგავლენა, გარკვეული ადგილი უკავია აუტოტრენინგს, რომელიც გულისხმობს პიროვნების აქტიურ ამოქმედებას, მის მიერ თვითშთაგონების უნარის შეძენას. ამ ეტაპზე სასურველია სპორტული კომპლექსის გამოყენებაც: ვარჯიში, წყლის პროცედურები და ა. შ.

ნარკომანიის კლინიკური ფორმები, როგორიცაა ოპიომანია, ჰაშიშომანია, საძილე პრეპარატების დიდი დოზით მიღება და სხვა, უკვე წაიშალა, ვინაიდან რესპუბლიკაში აფთიაქებიდან და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან ნარკოტიკების ფარული მიწოდება აღიკვეთა, მაგრამ ჩვენ ვხვდებით ნარკომანიის სხვა შენიღბულ ფორმებს. ახალგაზრდები ზოგჯერ მიმართავენ ძნელად მისასვლელ ადგილებში აღმოცენებულ ველურ ბალახებს, ამზადებენ მათგან ნახარშს და სვამენ. ისინი რეანიმაციის განყოფილებებში მოჰყავთ უმძიმეს კომის მდგომარეობაში, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება.

უნდა ვიცოდეთ, რომ ნარკომანიის წინა საფეხურია თამბაქოს წევა, აგრეთვე სპირტიანი სასმელის მიღება და სხვა ძლიერმოქმედი სამკურნალო პრეპარატების ზედმეტი დოზით მიღება. მავნე ზეგავლენას ახდენენ დოპინგები, სტიმულატორები, ე. წ. ძალის მოსამატებელი საშუალებები. ეს პრეპარატები იწვევენ პიროვნების ფიზიკური და სულიერი დაკნინების მომდევნო ფაზას, რაც საბოლოოდ ნერვული სისტემის გაცვეთით მთავრდება.

ნარკომანიით დაავადებული ის ადამიანები არიან, რომლებიც საზოგადოებას თავიანთი ნებით გამოეთიშნენ, ამიტომ მათი ჩართვა შრომაში, ფიზკულტურაში, სპორტში ძალიან ძნელია. ძნელია მკურნალობის პროცესში მათი ინერციის დაძლევაც — ისინი გაურბიან სამკურნალო პროცედურებს — შრომით თერაპიას, სპორტულ თამაშებში და შეჯიბრებებში მონაწილეობას.

დაავადებულ ახალგაზრდებს მოვუწოდებ მოურიდებლად მოგვმართონ დახმარებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ნარკომანი ჩვენთან თავისი სურვილით მოვა, ჩვენ უზრუნველვყოფთ მისი სახელის საიდუმლოებას — ჩვენთან დანერგილია მკურნალობის ახალი, ანონიმური წესი.

ახალგაზრდებო! ერიდეთ არაჯანსაღ ლტოლვას სპირტიანი სასმელებისადმი, თამბაქოს წევისადმი. სკოლის ასაკში ჩაებით ფიზკულტურასა და სპორტში. გახსოვდეთ, რომ გამაბრუებელ საშუალებებს, ნარკოტიკებს მხოლოდ უქნარა და სუსტი ნებისყოფის ადამიანები მიმართავენ. ხიზარდეთ თქვენი თავი, ნუ აჰყვებით ცდუნებას, ეცადეთ იცხოვროთ ნამდვილი, ჯანსაღი ცხოვრებით, გარწმუნებთ, რომ ამაში პირველ ყოვლისა ფიზკულტურა და სპორტი დაგეხმარებათ.

**ნ. სავანელი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის მთავარი სპეციალისტი-ნარკოლოგი.**

**SOS**

კიდევ შემოქრუნდება... რეიდები ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენიდან

# მოედანზე დადიან... მანქანებ და ბულდოზერებ

ისეთი დიდი ტრადიციების მქონე სოფელს, როგორიც თამარაშენია, არა მარტო ცხინვალის რაიონში, არამედ მთელს ოლქშიც ბევრს ვერ შეხვდებით.

ამ დიდ და კეთილმოწყობილ სოფელს ყველაფერი აქვს, გარდა სპორტული მოედნისა, სადაც სოფლის ახალგაზრდობას საშუალება ექნება მკლავისა და მუხლის ძალა მოსინჯოს. კეთილმოწყობილი სპორტული მოედნის უქონლობაზე ვჩივით, მაგრამ საქმე ისე წავიდა, სოფელმა შეიძლება მალე ის ერთი ხელისგულისოდენა ფეხბურთის მოედანიც დაკარგოს. საქმე ისაა, რომ სოფლის ცენტრში, რვაწლიანი სკოლის გვერდით მდებარე მოედანს, რომლის სიგრძე სულ 80 მეტრი, ხოლო სიგანე 40 მეტრამდე იქნება, სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დაადგეს თვალი და იქ საბავშვო ბაღი აა[…] ნეს, ახლო მომავალში კი აქვე ტ[…] ნსფორმატორის აშენება აქვთ გ[…] ზრახული. დიახ, სკოლამ დაკა[…] ფრენბურთისა და კალათბურთ[…] მოედნები და ახლა ჯერი ფეხბ[…] თის მოედანზე მიდგა. ჯერჯერობ[…] ეს ადგილი სამშენებლო მოედნა[…] გადაქცეული, აქ მძიმე ავტომა[…] ნები და ბულდოზერები დადი[…]

მარტო სოფელი არ სარგებ[…] ბდა ამ მოედნით, აქ სისტემატუ[…] ვარჯიშობდნენ ცხინვალის ბავშ[…] და მოზარდთა საფეხბურთო [...] ლის გუნდები და თვით ცხინვა[…] „სპარტაკის" გუნდი. ამ მოედ[…] აიდგა ფეხი ბევრმა ფეხბურთე[…] ახსარ ბეკოევი და ინალ ჯიოევ[…] ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრ[…] შემადგენლობაშიც გამოდიოდ[…]

**ვლადიმერ მელქო[…]**



ასე გამოიყურება ფეხბურთის მოედ[…]

ამ საკითხს „ლელო" მეორედ უბრუნდება. პირველი კრიტიკულ[…] რილი შარშან 3 დეკემბერს გამოვაქვეყნეთ. სამწუხაროდ, არც რა[…] დან და არც ოლქიდან პასუხი არ მიგვიღია. როგორც ჩანს, არავი[…] ზომები არ გაუტარებიათ, რაკი სოფლის საფეხბურთო მოედანზე [...] ტევა" უფრო გააქტიურდა. რატომ?

დაბოლოს კვლავ გვინდა ერთი საგულისხმო ციტატა მოვიტანოთ [...] წლის 20 ივლისს გამართული საქართველოს პარტიულ-სამეურნეო [...] ვის კრების მასალებიდან: „ცხინვალის 28 სამრეწველო საწარმოდან [...] არტივესი ტიპის სპორტული მოედნები აქვს მხოლოდ ორს. ავტონო[…] რი ოლქის ყოველი სამი სოფლიდან მხოლოდ ერთგანაა მოწყო[…] ლია მოედანი".

# სპორტული დღესასწაული მეფოლადეთა ქალაქში

**ფიზკულტურელის** საკავშირო დღეს რუსთავის სპორტულ ბაზებზე ფართოდ გაუღეს კარი სპორტული შეჯიბრებებისა და საჩვენებელი გამოსვლების მონაწილეებს.

დილიდანვე ხალხმრავლობა იყო „მეტალურგის" სტადიონზე. 100, 400 და 800 მეტრზე სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში მზდ ნორმატივებს აბარებდნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი. რესპუბლიკის საუკეთესო მეხანძრეებმა საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს სახანძრო-გამოყენებით სპორტში. ცურვის მოყვარულებს მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" საცურაო აუზმა „თოლიამ" უმასპინძლა.

ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გამართულ ფეხბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა ფოლადთუჯსასხმელი ქარხანა „ცენტროლის" გუნდმა, თუმცა საყოველთაო ინტერესი მაინც ფეხბურთელ ქალთა საჩვენებელმა შეხვედრამ გამოიწვია (ამ ცოტა ხნის წინათ „ქიმბოჭკოს" ენთუზიასტმა ქალებმა ფეხბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბეს). ხალხმრავლობა იყო სახალხო ნიჩბოსნობაში გამართულ შეჯიბრებაზეც.

სპორტული ზეიმი დასრულდა ქართული ჭიდაობით, რომელიც მე-20 მიკრორაიონში მოწყობილ საჭიდაო არენაზე გაიმართა.

დასასრულ, საუკეთესო სპორტსმენები ქალაქის სპორტკომიტეტმა სიგელებით დააჯილდოვა.

**რაჟდენ გაბრიჭიძე.**



### მოკლედ

**ჭიათურა.** „კოლმეურნის" ზონის სოფლის ფეხბურთელთა პირველობის ფინალში, რომელიც ნაგუთის სტადიონზე გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ რგანისა და ზოდის გუნდები. გაიმარჯვეს რგანელებმა — 3:1.

**ვაჟა ლურსმანაშვილი.**
**(„ლელოს" კორ.).**

# შაშის თამაში არც აქ ივიწყებენ

**ზაფხულის** არდადეგებზე დასასვენებლად ცხვარიჭამიას პიონერულ ბანაკებში ჩამოსულ უკრაინელ ბავშვთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს შაში. ეს არცაა გასაკვირი. მოგეხსენებათ, კიევი მთელ მსოფლიოშია განთქმული ცნობილი ოსტატი მოშაშეებით. ამ ზაფხულს თითქმის ყველა პიონერი ველობები შაშში. ცხვარიჭამიას 14 ბანაკში ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს ოსტატებმა სერგო თამაშვილმა და როლანდ ქერდიყოშვილმა.

**თენგიზ რეხვიაშვილი,**
**რესპუბლიკის ჭადრაკის სახაზლის ინსტრუქტორი, ოსტატობის**

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„ლელოს" 1986 წლის 2 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომი

# „ერთი საგანგაშო შემთხვევის ღრმა ფესვე[…]

**საქართველოს** კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომმა კომპლექსურად შეისწავლა სპორტკლუბ „სინათლის" საქმიანობა და საკითხი აქ გამოვლენილი უხეში დარღვევებისა და სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ 17 ივლისს განიხილა ბიუროს სხდომაზე.

როგორც გამოირკვა, სპორტკლუბში შექმნილი უაღრესად არაჯანსაღი სიტუაცია, მიშვებულობა და უკონტროლობა განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ავტოტრანსპორტისა და საგზაო გზების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, ნსს „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებისა და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უყურადღებობამ.

სპორტკლუბში წლების მანძილზე უხეშად ირღვეოდა საშტატო და შრომითი დისციპლინა. სპორტკლუბს, მისი ფეხბურთელთა გუნდის საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ შემთხვევითი პირები. სარგებლობდნენ რა ხელმძღვანელების სრული უკონტროლობით, ისინი სხვადასხვა თანამდებობებზე თვითნებურად აფორმებდნენ მუშაკებს, დოკუმენტებში შეჰქონდათ ფიქტიური მონაცემები გუნდის წევრთა შრომითი საქმიანობის შესახებ.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებისა და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა მშრომელთა შორის სპორტული და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის წარმართვის, სპორტკლუბ „სინათლის" მუშაობისადმი ხელმძღვანელობის თვალსაზრისით უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა. სამსახურებრივი საქმისადმი გამოჩენილი უგულისყურობისათვის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსს, სკკპ წევრ ჯ. დ. გოგიჩაძეს გამოეცხადა საყვედური.

სპორტკლუბ „სინათლის" საქმიანობაში შემჩნეული ნაკლოვანებებისათვის, კერძოდ, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში გამოჩენილი უკონტროლობისათვის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს პროფკომიტეტის თავმჯდომარეს, სკკპ წევრს ა. ტ. ვაშაკიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ფიზკულტურულ-სპორტული კოლექტივების წევრებს შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არასაკმარისი ხელმძღვანელობისათვის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეს ა. ა. კირილოვს მიეთითა.

მათდამი დაქვემდებარებული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობისადმი გამოჩენილი უ[…] ტროლობისა და ფიზკულტურ[…] კადრების შერჩევისა და განაწ[…] ბის საქმეში დაშვებული შე[…] მებისათვის ნსს „სპარტაკის" [...] ვმჯდომარეს, სკკპ წევრობის [...] დიდატ ა. ფ. მეგრელაძეს და [...] საზოგადოების ყოფილ თავმ[…] მარეს ო. პ. კალაძეს გამოეცხ[…] სასტიკი საყვედური.

ცნობად იქნა მიღებული, ნსს „სპარტაკის" ინსტრუქტორ[…] ჰანტურია, რომელმაც მუშაო[…] დაუშვა სერიოზული შეცდომ[…] გათავისუფლებულია სამუშაო[…] თანამდებობიდან მოიხსნენ პი[…] რომლებიც სპორტკლუბში და [...] ხბურთელთა გუნდში ეწეო[…] არაკანონიერ საქმიანობას — [...] კუმენტებში შეჰქონდათ ფიქტ[…] მონაცემები და ა. შ.

რაიონის პროკურატურას და[…] ლა ფეხბურთელთა გუნდის [...] ნათლის" ყოფილ წევრთა შრ[…] საქმიანობასთან დაკავშირებ[…] საკითხების შესწავლა.

ბიურომ ნსს „სპარტაკის" [...] მძღვანელობას და ტრამვაი-ტ[…] ლეიბუსების სამმართველოს [...] ფკავშირის კომიტეტს დაავალ[…] ხლოეს პერიოდში გადაწყ[…] სპორტკლუბ „სინათლის" [...] კადრებით შევსების საკითხ[…]

**ნ. ლეკიშვ[…]**
საქართველოს კომპარტიის [...] ლისის პირველი მაისის რ[…] მის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიმრავლოს!

# ახალი, დიდებული...

(დასასრული)

იმ დღეს, ვიდრე ზუგდიდის იპოდრომის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალი გაიმართებოდა, ხალხი დილიდანვე რაიონის ერთ-ერთ ხალხმრავალი სოფლისკენ—ჭკადუაშისკენ დაიძრა. აქაც ზეიმი იყო დანიშნული — გაიხსნა პიონერული ქალაქი.

რა აღარ არის ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე მოზარდი თაობის სულიერი და ფიზიკური აღზრდისთვის, არის პიონერული ბანაკიც კი, რომელმაც იმ დღეს გაუღო კარი პირველ სტუმრებს.

ზუგდიდის რაიონში ცხენოსნობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა და არც იყო გასაკვირი ის დიდი ინტერესი, რაც მოსახლეობამ ახალი საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის გახსნის მიმართ გამოიჩინა. რაიონის ხელმძღვანელობამ, სპორტის ამ სახეობის მესვეურებმა, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთეს, რომ ზეიმი ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად ექციათ. უამრავი სტუმარი ეწვია ზუგდიდს აფხაზეთიდან, დასავლეთ საქართველოს მეზობელი რაიონებიდან და ქალაქებიდან. ეს იყო საერთო ზეიმი, რადგან საცხენოსნო-სპორტული კომპლექსი ახალი იპოდრომით, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ ამიერკავკასიაში, თავის სიამაყედ მიაჩნია ყველას, ვისაც უყვარს ცხენი და ცხენოსნობა, ვინც ზრუნავს რესპუბლიკაში საცხენოსნო ტრადიციების აღორძინებისათვის.

ყველაზე ამაღელვებელი, ყველაზე შთამბეჭდავი კი მაინც იმ 80 ცხენ-მხედრის გამოჩენა იყო, რომლებმაც რამდენიმე ათეული კილომეტრი გამოიარეს და მოზეიმე ხალხს შეუერთდნენ. იპოდრომს ცხენ-მხედართა სიმრავლე ამშვენებს და ისინიც მოვიდნენ ზუგდიდის სოფლებიდან — კახათიდან, დარჩელიდან, კოკიდან, ახალ კახათიდან, შამგონიდან, ორსანტიიდან, განმუხურიდან, ერგეტიდან. მათ შორის იყვნენ უხუცესი მხედრებიც და სულ ყმაწვილებიც — ბაბუებისგან რომ უსწავლიათ ცხენისადმი ერთგულება და სიყვარული.



მაინც ვინ გაალვიძა და განაახლა ხალხში ცხენის სიყვარული? ეს კაცი — კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯოტო გუგუჩია — ახლა თავად ედგა სათავეში მოზეიმე მხედრიონს. როგორც რაიონის ცხენოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ, მან დიდი წვლილი შეიტანა ახალი იპოდრომის მშენებლობაში. რაიონის სხვა სოფლებშიც რომ მომრავლდა ცხენ-მხედარი, ესეც მისი დამსახურებაა, კახათმა უჩვენა სხვებს მაგალითი.

საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ალლუმს ჯოტო გუგუჩია მოუძღოდა. ალლუმში ადგილობრივი მხედრების გარდა მონაწილეობდნენ გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, გალის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, სამტრედიის, ფოთისა და ქუთაისის წარმომადგენლები — ამ დღეებში ხომ ზუგდიდის ახალ იპოდრომზე „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ტარდებოდა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

ახალი კომპლექსის მწყობრში ჩადგომისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ კვარაცხელიამ. მშენებლებმა სიმბოლური გასაღები გადასცეს კომპლექსის დირექტორს, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს კარლო ხორავას.



**ექსპრეს-ინტერვიუ საქაგრომრეწვის № 1 ტრესტის ზუგდიდის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსთან ნური მხეიძესთან.**



**◉ ვისი პროექტით აშენდა ახალი საცხენოსნო-სპორტული კომპლექსი?**

— პროექტი დაამუშავა საქკომშენსახპროექტის სოხუმის ფილიალმა არქიტექტორ ჯონი ზარანდიას ხელმძღვანელობით.

**◉ როგორი შეფასება მიიღო თქვენმა ნახელავმა?**

— კარგი. ჩვენც და დამკვეთიც ძალიან მონდომებული ვიყავით, რომ კომპლექსი სამაგალითო გამოსულიყო, მთლიანად შევესხა ხორცი არქიტექტორთა ჩანაფიქრისთვის.

**◉ ალბათ გაქვთ სპორტული ობიექტების მშენებლობის გამოცდილება.**

— არა, ეს პირველი ობიექტი იყო ჩვენი სამმართველოსთვის.

**ახალი საცხენოსნო-სპორტული კომპლექსი გაიხსნა. ეს ჩინებული, გრანდიოზული სპორტული ბაზა მართლაც ძვირფასი შენაძენია მთელი რესპუბლიკისთვის, მაგრამ იგი ჩაიბარეს თუ არა მშენებლებისგან, უმალვე გაჩნდა კითხვა: ვის ბალანსზე გადაეცემა კომპლექსი, ვინ უპატრონებს, როგორ დაიტვირთება, ვინ დააკომპლექტებს შტატებით, დაფარავს თუ არა შემოსავალი გასავალ ხარჯებს? ბაზამ სამეურნეო ანგარიშზე უნდა იმუშაოს, ამიტომ მთელი რიგი საკითხები ამთავითვე ისე უნდა გადაწყდეს, რომ მომავალში ბაზის ექსპლოატაცია არ შეფერხდეს.**

ზუგდიდი.

**თენგიზ თომაშვილი,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

---

## დინამოელები უნგრეთში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში აგვისტოს ბოლომდე შესვენებაა (გაიმართება მხოლოდ ერთი მატჩი: 16 აგვისტოს კიევის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ მინსკელ თანაკლუბელებს).

შესვენების პერიოდში თბილისის დინამოელები უნგრეთის კლუბების მიწვევით ჩავიდნენ ამ ქვეყანაში, სადაც ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს გამართავენ.

ქუთაისის „ტორპედო" საწვრთნელ შეხვედრაზე იმყოფება ბაკურიანში.

## II ლიგა

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVII ტურში ტყიბულის „მეშახტემ" თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა სტეფანაკერტის „ყარაბახი".

**II ლიგა, IX ზონა**
**გათამაშების ცხრილი**
**მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი" | 17 | 11 | 3 | 3 | 29-14 | 25 |
| „დინამო" ს. | 17 | 11 | 1 | 5 | 27-14 | 23 |
| „დილა" | 17 | 10 | 3 | 4 | 28-17 | 23 |
| „ლოკ." ს. | 17 | 9 | 2 | 6 | 23-17 | 20 |
| „მეტალურ." | 17 | 8 | 2 | 7 | 31-22 | 18 |
| „მეშახტე" | 17 | 8 | 2 | 7 | 23-21 | 18 |
| „კოლხეთი" | 17 | 8 | 2 | 7 | 26-29 | 18 |
| „ლოკ." თბ. | 17 | 8 | 2 | 7 | 17-22 | 18 |
| „გიანჯლ." | 17 | 7 | 4 | 6 | 24-15 | 18 |
| „სპარტაკი" | 17 | 7 | 4 | 6 | 16-20 | 18 |
| „ყარაბახი" | 17 | 7 | 2 | 8 | 29-27 | 16 |
| „ავტომობ." | 17 | 6 | 2 | 9 | 28-26 | 14 |
| „არაზი" | 17 | 5 | 4 | 8 | 15-24 | 14 |
| „შირაკი" | 17 | 5 | 1 | 11 | 12-21 | 11 |
| „კოლხოზჩი" | 17 | 5 | 1 | 11 | 13-28 | 11 |
| „ოლიმპია" | 17 | 2 | 3 | 12 | 11-35 | 7 |

## „სიჭაბუკის" თასზე

**არტემოვსკი.** (დონეცკის ოლქი). აქ დაიწყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის „სიჭაბუკის" თასის ფინალური გათამაშება მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის (მონაწილეობენ 1971 წლის 1 აგვისტოს შემდეგ და 1972 წლებში დაბადებულები).

ფინალურ შეჯიბრებაში გამოდიან რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქმენეთის გუნდები. საქართველოს ჭაბუკებს პირველი შეხვედრა ჰქონდათ უკრაინის ნაკრებთან. დაძაბული ბრძოლის შემდეგ თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

სომხეთის ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს თურქმენეთის გუნდი. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა აზერბაიჯანისა და რსფსრ-ს გუნდების შეხვედრა, გამარჯვება წილად ხვდათ აზერბაიჯანელებს.

## შვეცია ეპატიჟება ჩემპიონატს

**შვეციის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სურვილი აქვს უმასპინძლოს 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ თამაშებს.**

შვეციის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის რ. ჰერნადის განცხადებით, შვედებს ჯერ კიდევ 1988 წლისათვის სურდათ თავიანთ ქვეყანაში ჩაეტარებინათ ევროპის ჩემპიონატი, მაგრამ ეს უფლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიაკუთვნეს. რ. ჰერნადის სიტყვებით, შვეციის საუკეთესო სპორტული ბაზები, აქაური მაყურებლის სანიმუშო საქციელი და საერთო წესრიგი ევროპის ჩემპიონატის ფინალის ნორმალურად ჩატარების საუკეთესო გარანტიას ქმნის.

იყო პროექტი 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი ინგლისში ჩაეტარებინათ, მაგრამ ახლანდელ სიტუაციასთან დაკავშირებით ეს მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

## მსოფლიო ჩემპიონების მონაწილეობით

**როგორც** რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია თავისი არსებობის 75 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით აწყობს მეტად საინტერესო საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონები მიიღებენ მონაწილეობას.

შეჯიბრება 1989 წლის 3-11 ივნისს ჩატარდება. მონაწილენი ორ ჯგუფად გაიყვნენ: პირველი ჯგუფი — არგენტინა, იტალია, გფრ; მეორე ჯგუფი — ბრაზილია, ინგლისი, ურუგვაი.

ჯგუფებში გამარჯვებულები გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.



## ჯარიმა — 68.000 ფრანკი

**ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა 68 ათასი შვეიცარიული ფრანკით (86 ათასი დოლარი) დააჯარიმა ესპანეთის საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა".**

ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დროს რუმინეთის „სტიაუასთჲნ" ესპანეთის ქალაქ სევილიაში „ბარსელონის" გულშემატკივრები ხულიგნურად იქცეოდნენ, თამაშის მსვლელობისას მინდორზე ისროდნენ ბოთლებს, ლუდის ქილებს, ქვებს. ფრანგი არბიტრი მ. ვოტრო იძულებული იყო ორჯერ შეეჩერებინა თამაში. „ბარსელონამ" მოზრდილი ჯარიმა უნდა გადაიხადოს თავისი ქომაგების ხულიგნობის გამო.

## ბეარზოტიც წავიდა

**ფეხბურთში** მსოფლიო ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, მრავალ ქვეყანაში იცვლებიან ეროვნული ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები. ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო იმ მწვრთნელთა სია, რომლებიც აღარ მუშაობენ თავიანთ ძველ პოსტებზე, სულ ახლახან კი ცნობა მოვიდა იმის თაობაზე, რომ უფროსი მწვრთნელის პოსტი დატოვა იტალიის გუნდის ცნობილმა ხელმძღვანელმა ენცო ბეარზოტმა.

ამის თაობაზე განცხადება გააკეთა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა და ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ.

ე. ბეარზოტი ათი წელი ედგა სათავეში „სკუადრა აძურას", მისი მეთაურობით იტალიელებმა მესამედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა, ახლა კი ე. ბეარზოტის ადგილი ა. ვიჩინიმ დაიკავა, რომელიც წარსულში გამოდიოდა პროფესიულ კლუბებში „სამპდორიასა" და „ბრეშიაში", შემდეგ მუშაობდა ფეხბურთის ფედერაციაში. მას ნაკრებში ერთი წლის ვადით დაუდეს კონტრაქტი. ფ. კარარომ განაცხადა, რომ თუ იტალიის გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავა, კონტრაქტს კიდევ გააგრძელებენ გარკვეული დროით. ა. ვიჩინი ამჟამად 52 წლისაა.

ე. ბეარზოტს ადრევე ჰქონდა განზრახული ნაკრების დატოვება. იგი ამიერიდან იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში იმუშავებს, ზედამხედველობას გაუწევს ამ ქვეყნის ოლიმპიურ და ახალგაზრდულ გუნდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში

# რა მოხდა კონკურში?

როგორც ვიუწყებოდით, იტალიის ქალაქ მონტეკატინი-ტერმეში დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდელთა (ვაჟები, ქალები, იუნიორები) მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა — ოთხი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს, წარმატება კიდევ უფრო საგულისხმო იქნებოდა, ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრების წევრებს პირველ სახეობაში — საცხენოსნო კონკურში კარგად რომ ესასპარეზათ.

თანამედროვე ხუთჭიდში კონკური ყველაზე სახიფათო და „ვერაგი" სახეობაა. ვინაიდან აქ თითქმის ყველაფერი კარგად გაწვრთნილ და დამყოლ ცხენზეა დამოკიდებული. კენჭისყრამ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ წევრს ახალგაზრდა ა. ავდეევს იმდენად ჭირვეული ცხენი (სახელად ემა) არგუნა, რომ ვერაფერი გააწყო მასთან, დისტანცია არ დაამთავრა და გუნდს ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანა. ნაკრების ხელმძღვანელობამ საბოლოოდ დაბნეული ავდეევი სათადარიგო წევრით — ი. შვარცით შეცვალა.

ჯიუტი და დაუმორჩილებელი ცხენი ჰყავდა ვახტანგ იაგორაშვილსაც, არა და ტრასაზე განლაგებულ 15 დაბრკოლებიდან 12-ის სიმაღლე უჩვეულოდ დიდი იყო (120 სანტიმეტრს აღემატებოდა). ასეთ გართულებულ პირობებში ბევრი ცხენი ჭირვეულობას იჩენდა და მხედარს არ უჯერებდა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ იუნიორთა შორის მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა ვახტანგ იაგორაშვილმა საცხენოსნო კონკურში მხოლოდ 794 ქულა დააგროვა. ასეთი შედეგით საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა, ცხადია, ძნელი იყო.

შეჯიბრების პირველ სახეობაში საბჭოთა გუნდის მესამე წევრმა, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ა. სტაროსტინმა 1004 ქულა დააგროვა (III ადგილი). მან შემდგომშიც კარგად იასპარეზა, საბოლოოდ 5562 ქულა დააგროვა და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

კონკურში დაკარგულის ანაზღაურება იაგორაშვილმა, ცხადია, ვერ შეძლო და მხოლოდ XIV ადგილი დაიკავა — 5169. შვარცისაგან ბევრს არავინ მოელოდა — მან შეჯიბრება თანაგუნდელის ა. ავდეევის ნაცვლად დაამთავრა და 4352 ქულით... 50-ე ადგილზე აღმოჩნდა.

აი სწორედ ამ მოულოდნელობათა გამო საბჭოთა კავშირის ნაკრები — გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი — გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის
მატჩ-რევანში ჭადრაკში
მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის
ლონდონი—ლენინგრადი, ივლისი—ოქტომბერი, 1986 წ.



# მეექვსე პარტია

**გარი** კასპაროვის ტაიმ-აუტმა მოთმინება დაუკარგა ქომაგთ. დიდოსტატებმა თითქოს იგრძნეს ეს და ძვირფასი საჩუქარი მოუმზადეს მათ — მატჩის VI პარტია მართლაც მეტად საინტერესოდ წარიმართა და ბოლომდე დაძაბული გამოდგა.

რუსულ პარტიაში, ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, მსოფლიო ჩემპიონმა ერთი პაიკი შესწირა მეტოქეს, შემდეგ მეორე და სასურველი პოზიციაც მოიმზადა, მაგრამ ექსჩემპიონი ზუსტად თამაშობდა. ბოლოს კარპოვმა ის ორი პაიკიც დაუბრუნა და პარტია დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო. ზოგი მიმომხილველის აზრით, მეტოქენი თამაშის განუახლებლად შეთანხმდებიან ყაიმზე.

**გ. კასპაროვი — ა. კარპოვი**

**რუსული პარტია**

1. e4 e5 2. მf3 მf6 3. მ:e5 d6 4. მf3 მ:e4 5. d4 d5 6. კd3 მc6 7. 0—0 კg4 8. c4 მf6 9. მc3 კ:f3 10. ლ:f3 მ:d4 11. ლe3+ მe6 12. cd მ:d5 13. მ:d5 ლ:d5 14. კe4 ლb5 15. a4 ლa6 16. ეd1 კe7 17. b4 0—0 18. ლh3 g6 19. კb2 ლc4 20. ეd7 ეae8 21. კd5 ლ:b4 22. კc3 მf4 23. კ:b4 მ:h3+ 24. gh კ:b4 25. ე:c7 b6 26. ე:a7 მფg7 27. ეd7 ეd8 28. ე:d8 ე:d8 29. ეd1 ეd6 30. ეd3 h5 31. მფf1 ეd7 32. მფg2 კc5 33. მფf1 h4 34. კc4 ეe7 35. ეf3 კd6 36. მფg2 ეc7 37. კb3 f5 38. ეd3 კc5 39. ეc3 მფf6 40. ეc4 g5 41. ეc2 მფe5. პარტია გადაიდო.

**გთავაზობთ მეექვსე პარტიის გადადებულ პოზიციას.**



**გუშინ მეტოქეები მატჩის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3:3.**

# შესვენების წინ

კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე 11 აგვისტო დასვენების დღე იყო. „ლელოს" ბოლო ნომერში ჩვენ ერთი შეხვედრის შედეგი არ გვქონდა მითითებული. ჩინეთის ნაკრებმა, რომელიც ვილნიუსის ჯგუფში ასპარეზობს, დიდი ანგარიშით დაამარცხა ტაივანის გუნდი — 93:45.

ჯგუფურ ტურნირებში ორ-ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი. ვილნიუსში ტურნირის ლიდერი აშშ-ის ნაკრები ავსტრალიისა და ჩინეთის გუნდებს უნდა შეხვდეს. მინსკში კი ცენტრალური, ალბათ საბჭოთა კავშირისა და კანადის გუნდების შეხვედრა იქნება. ბოლო მატჩს ჩვენი სპორტსმენები სამხრეთ კორეის კალათბურთელებთან გამართავენ.

მერე კი ნახევარფინალური შეხვედრები დაიწყება.

# ერთი სიახლის ამბავი

**კეთილი ნების თამაშებში ექვსი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: ორი — მძლეოსნობაში, ერთი — ცურვაში, სამი — სატრეკო ველოსპორტში (მათ შორის ერთი ყველაზე მოკლე სპრინტერულ დისტანციაზე — 200 მეტრზე გიტში). ამასთან დაკავშირებით გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" 9 ივლისის ნომერში წერდა: „...საბჭოთა არბიტრის, უსი-ს ტექნიკური კომისიის წევრის მირონ ბარამიას წინადადებით გიტი 200 მეტრზე (სვლით) მსოფლიო, ოლიმპიური და საერთაშორისო ტურნირების სპრინტერთა პროგრამაში შეტანილია, როგორც სავალდებულო სახეობა".**

**მირონ ბარამიას ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ. იგი საერთაშორისო ველოსპორტის ერთ-ერთი აღიარებული და ავტორიტეტული სპეციალისტია. სწორედ ამის გამო შეიყვანეს ბარამია სამოყვარულო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურ კომისიაში და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისიის წევრადაც აირჩიეს. მირონ ბარამიას ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა.**

⊙ **თქვენ ცდილობდით მიგეღწიათ იმისათვის, რომ 200 მეტრზე გიტი სპრინტერთა საკვალიფიკაციო შეჯიბრება გამხდარიყო... როგორ დაიბადა ეს იდეა?**

— პირველად ეს წინადადება საერთაშორისო ორგანიზაციაში 1981 წელს შევიტანე, მაგრამ საკითხის განხილვას მთელი ოთხი წელი დასჭირდა. რა გასაკვირია, ძველი ფორმულა ხომ ექვსი ათეული წლის მანძილზე იყო უცვლელი.

⊙ **მომხრეების გარდა მას, ალბათ, ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა?**

— მოგეხსენებათ, სპეციალისტების ნაწილი ყოველგვარ სიახლეს ეჭვის თვალით უყურებს. ამჯერად სკეპტიკურად განწყობილთა შორის აღმოჩნდნენ მსოფლიოს რეკორდსმენი და სპორტის დამსახურებული ოსტატი როსტისლავ ვარგაშკინი, მსოფლიოს ექსჩემპიონის სერგეი კოპილოვის მწვრთნელი სერგეი მაქსიმოვი და სხვები. მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტმა მიიღო ჩემი წინადადება და იგი ბევრ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში გამოსცადა. ამის შემდეგ ამ სიახლით საერთაშორისო კავშირიც დაინტერესდა.

⊙ **როდიდან შევა თქვენი წინადადება ძალაში?**

— შარშან ნოემბერში ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის რომის კონგრესზე დამტკიცდა ახალი რეგლამენტი. სამოყვარულო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო ცვლილებები შეიტანა შეჯიბრების ფორმულაში. 1988 წლის ოლიმპიური თამაშები უკვე ახალი წესით ჩატარდება.

⊙ **თუ შეიძლება, ერთხელ კიდევ განუმარტეთ მკითხველს ახალი ფორმულა.**

— ჩემი წინადადების მიზანია ყველაზე სწრაფ სპრინტერთა გამოვლენა და მათთვის რიგითი ნომრების მინიჭება. ეს სისტემა სპრინტერთა შეჯიბრების სქემას საგრძნობლად გაამარტივებს. მსაჯთა მუშაობასაც უფრო ოპერატიულს გახდის და, რაც მთავარია, წყვილების შერჩევისას მოსალოდნელ შეცდომებსა და უზუსტობებს აგვაცილებს თავიდან.

⊙ **სიზუსტე და სიმწყობრე ყველაფერში კარგია, მაგრამ ალბათ ყველაზე მეტად იქ არის საჭირო, სადაც რეკორდების რეგისტრაცია ხდება.**

— მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში ტრეკზეც და გზატკეცილზეც ბევრი მედალი თამაშდება, მაგრამ რეკორდების რეგისტრაცია აქამდე მხოლოდ ერთ სახეობაში — 1000 მეტრზე გიტში ხდებოდა, მსოფლიო რეკორდებს გამოდევნებით რბოლაშიც აღნუსხავენ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა გუნდს ან მონაწილეს მეტოქე არა ჰყავს. არადა ყველა დიდ შეჯიბრებაში სტარტზე ორი გუნდი, ან ორი მონაწილე გამოდის.

⊙ **მაშ რატომ იქნა აღრიცხული კეთილი ნების თამაშებზე მსოფლიო რეკორდი გამოდევნებით რბოლაში?**

— იმიტომ, რომ საბჭოთა გუნდი წინასწარ სერიაში მარტო, მეტოქის გარეშე გამოდიოდა. ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში, როგორც წესი, ბევრი მონაწილეა და წინასწარ სერიებში ორ-ორი გუნდი (ან მონაწილე) ასპარეზობს. ამიტომ რეკორდების დამყარება იქ გამორიცხულია.

⊙ **თქვენი იდეის გამარჯვებას ჩანს ამანაც შეუწყო ხელი.**

— რა თქმა უნდა. ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციას მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის რეგისტრაციის საშუალება მიეცა და 200 მეტრზე გიტმა სრული დამოუკიდებლობის სტატუსი მოიპოვა.

⊙ **ახალ ფორმულას რომელ შეჯიბრებაზე გამოცდიან ოფიციალურად?**

— ამ სიახლემ გამოცდა უკვე ჩააბარა კასაბლანკას (მაროკო) იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ ფორმულით იასპარეზებენ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენიც. ეს ტურნირი, როგორც ცნობილია, აგვისტოს ბოლოს აშშ-ის ქალაქ კოლორადო-სპრინგსში ჩატარდება.

⊙ **სიტყვამ მოიტანა და იქნებ გვითხრათ, ვინ მოიგო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი 200 მეტრზე გიტსა და სპრინტში?**

— 200-მეტრიან დისტანციაზე 17 წლის ფრანგმა დენი ლემირმაჯერ კიდევ საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში აჩვენა საუკეთესო შედეგი — 11,236, მერე კი ყველა სპრინტერი დაამარცხა და ჩემპიონის ოქროს მედალი მიიღო. ფინალში მან დაძაბულ ბრძოლაში (ანგარიშით 2:1) საბჭოთა სპრინტერს ვლადიმერ სულთანოვს სძლია. მანამდე კი სულთანოვმა ოქროს მედალი 1000 მეტრზე გიტში მოიპოვა.

⊙ **როგორ ფიქრობთ, არის თუ არა კოლორადო-სპრინგსში მოსალოდნელი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება 200-მეტრიან დისტანციაზე?**

— მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას, ჩემი ღრმა რწმენით, მოყვარულთა შორის მხოლოდ ლუც ჰესლიჰს ან მიჰაელ ჰიუბნერს შეუძლიათ, პროფესიონალებში კი იაპონელ კოიჩი ნაკანოს.

## პირველი რეგიონალური თამაშები

სპარსეთის ყურის არაბთა ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს გადაწყვეტილებით, 1987 წელს გაიმართება ამ რეგიონის სპორტსმენთა კომპლექსური შეჯიბრება — არაბთა ქვეყნების ე. წ. მინი-ოლიმპიური თამაშები.

დამტკიცდა შეჯიბრების პროგრამა, საექსპერტო კომისიისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა, რომლებშიც უმთავრესად, დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენლები შევიდნენ. სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, მძლეოსნობაში, ჩოგბურთსა და ველოსპორტში. სულ მალე დამტკიცდება კალენდარი, დაზუსტდება ტელერეპორტაჟების განრიგი. ვარაუდობენ, რომ პირველ არაბულ თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ ბაჰრეინის, კატარის, კუვეიტის, ომანის, არაბთა გაერთიანებული ემირატების და საუდის არაბეთის წარმომადგენლები, თუმცა არ არის გამორიცხული, მათ სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც მიემატონ.

## ყოფილი დირექტორის აზრით

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა დირექტორმა მონიკ ბერლიუმ მკაცრად გააკრიტიკა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და კერძოდ პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის საქმიანობა, რომელიც ბოლო დროს ოლიმპიური იდეალების წინააღმდეგ არის მიმართული.

ბერლიუს აზრით, სოკ-ს დღესდღეობით არ ჰყავს შორს მჭვრეტელი ხელმძღვანელი, ადამიანი, რომელიც კუბერტენის იდეებს „ცეცხლითა და მახვილით დაიცავდა". ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა უმოწყალოდ ჩამორჩა დროს. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ქალები ამ ორგანიზაციაში „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდნენ?

მონიკა განათლებით ჟურნალისტია, მოწოდებით კი სპორტსმენი. მის უნარს, ცოდნასა და ენერგიას აფასებს ყველა, ვისთვისაც ოლიმპიური იდეები ძვირფასია. სწორედ ამიტომ, საფრანგეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც 1992 წლის თამაშების მასპინძლობისთვის იბრძვის, ბერლიუ პარიზში მიიწვია სამუშაოდ.

კალეიდოსკოპი

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 13 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის: აშშ — ჩინეთი (გადმოცემა ვილნიუსიდან) და ბულგარეთი — კუბა (გადმოცემა მინსკიდან) — 23.45 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 0.40 (1).

**საქართველოს ტელევიზია.** 13 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 0.40.

**საქართველოს რადიო.** 13 აგვისტო. რიტმული ვარჯიში — 11.40.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.


## თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი
### 14 აგვისტო ⊙ ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობა ⊙ II ლიგა, IX ზონა

**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „გიანჯლიკი" (ბაქო)**

გათამაშდება ლატარია ორი ავტომანქანა „ჟიგული" 21063-ს ურიგოდ შესაძენად. ბილეთის ფასი — 1 მანეთი, ხოლო „ლოკომოტივის" აბონემენტების მფლობელთათვის — 50 კაპიკი.

ბილეთები გაიყიდება 14 აგვისტოს დილის 11 საათიდან.

თამაშის დასაწყისი 19 საათზე.



**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უუ 07612